საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

17.03.2016 ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღამასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნიკოლოზ ახალკაცი - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
რევაზ ზედგინიძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ირმა ქურდაძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შალვა ჭკადუა - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ნახუცრიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო მოდებაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
ირმა გრძელიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მამული ბუჭუხიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
ნანა მაკარაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ლელა თავდგირიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ეკატერინე გიგაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
მიხეილ გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნანა მაჭარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო თოფურიძე - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
მარინე ხუბუა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლია ახალაძე - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
რომეო გალდავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
რუსუდან ფიფია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შინჯიაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი;
დავით ჩერქეზიშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;
თეა იმედაძე - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი;

გიორგი გახელაძე - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
რუსუდან ჩიქოვანი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროორექტორი;
ჯონი მწარიაშვილი - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის დეპარტამენტის უფროსი;
თინათინ ღუდუშაური - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
მაია ჩხეიძე - ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
შალვა დუნდუა - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დიანა მჭედლიშვილი - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნიკოლოზ ფარჯანაძე - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამის კოორდინატორი;
ნინო ბერძენიშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
გოდერძი ბუჩაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ნინო ბალანჩივაძე;
ლიანა კობესაშვილი;
ნინო ელბაქიძე;
ზურაბ ჩხიკვაძე;
ნინო ჩიქოვანი;
ეკატერინე გიგაშვილი;
კახა ჟღენტი;
ნინო ჟვანია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, აგრეთვე, მიმართა საბჭოს წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ხომ არ სურდათ თვითაცილება.

გამოვლინდა შემდეგი, რომ საბჭოს წევრები თუთა ნარმანია, ნანა შათაშვილი და ლევან გორდეზიანი ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომაზდების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაში, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო; ამავე მიზეზით, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა რევაზ სოლომონია; ასევე, საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში. საბჭოს წევრებმა განაცხადეს თვითაცილება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან საბჭოს წევრები რიგი საკითხების განხილვაში ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას, უმჯობესი იქნებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი განხილულიყო მე-9 საკითხად,

საბჭომ გაიზიარა თავმჯდომარის მოსაზრება და დამტკიცდა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულებას წარმოადგენდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ირმა გვერდაძე და უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნიკოლოზ ახალკაცი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო, თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი გაუჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- სასურველი იყო უნივერსიტიტეტის პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა აკადემიური პერსონალის კომპეტენციის განვითარებას, კურსის მიზნის შესაბამისი შეფასების ფორმების განსაზღვრისა და ფორმების შესაბამისი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით;
- სასურველი იყო სტუდენტის მიერ შემუშავებული გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებს დამატებოდა კონკრეტული გაკვეთილით მისაღწევი შედეგისადმი მოსწავლეების მზაობის შეფასების კრიტერიუმი, რათა მომხდარიყო საკლასო ჯგუფის საჭიროების განსაზღვრა. შესაბამისი სტრატეგია/მეთოდი/აქტივობა უნდა დამატებოდა შესაბამისი სილაბუსების შინაარსს;
- ესპერტთა აზრით, სასურველი იყო სასწავლო რესურსად შესაბამის კურსებში გამოყენებული ყოფილიყო „თვითშეფასების კითხვარის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 აგვისტოს N05-103 ბრძანება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის და ნაყოფიერი ვიზიტისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გაითვალისწინეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელეს. საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო საბჭოსთვის წარედგინა შესაბამისი ცვლილების ამსახველი

დოკუმენტაცია. შეფასების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით გაჟღერებული რეკომენდაციის ნაწილში, წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მართლაც გასაზიარებელი იყო ექსპერტთა რეკომენდაცია და გაითვალისწინებდნენ, თუმცა, სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულისათვის დაწესებულებას ესაჭიროებოდა დრო.

დაწესებულების წარმომმადგენლებმა განმარტეს, რომ მულტიკულტურული განათლების სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების სისტემაში, ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაემატა დისკუსია, აუდიტორიასთან კონტაქტის ნაცვლად. ასევე, ისტორიის სწავლების მეთოდიკის ნაწილშიც, გათვალისწინებული აქტივობები ჩაიშალა და ასევე, განხორციელდა სხვა ცვლილებებიც, რამაც დახვეწა და გააუმჯობესა საგანმანათლებლო პროგრამა.

მოსწავლეთა მზაობის შეფასების მხრივ, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება, დაწესებულება ჩართული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და G-pried პროექტში და ეს საკითხი პრიორიტეტული იყო მათთვის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, აღნიშნულიც უკეთესად დაკონკრეტდა, შესაბამისი დოკუმენტაციაც მოტანილი ჰქონდათ და შეეძლო, საბჭოსთვის წარედგინათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა არა დაწესებულებას შესწავლილი შრომის ბაზარი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შესაბამისად, კურსდამთავრებულთა საშუალოდ, 25% იყო დასაქმებული.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, საგანგებოდ შეირჩა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დაწესებულებაში სერტიფიცირებული პედაგოგების რაოდენობაზე, რაც თავის მხრივ, პროგრამის სტუდენტებს მეტად შეუწყობდა ხელს სამომავლოდ დასაქმებაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ იყო წარმოდგენილი პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრაქტიკისთვის გათვალისწინებული ჰქონდათ 10 კრედიტი, ასევე, დამატებით პრაქტიკულ კომპონენტს მოიცავდა ინკლუზიური განათლების ნაწილი. წარმოდგენილი კომპონენტებიდან ნაწილი ჩაშენებული პრაქტიკის სახით უნდა გაევლოთ სტუდენტებს სკოლაში, ასევე, საჭირო იყო არანაკლებ სამი გაკვეთილის და ერთი ვიდეო გაკვეთილის ჩატარება, რის შემდეგაც გათვალისწინებული იყო შიდა შეფასება. ვიდეოს გადაღება არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას, თუმცა, სტუდენტის სურვლით, შესაძლებელი იყო გადაღება და შემდეგ - მისი გარჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდნენ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შალვა ჭკადუა, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ნინო მოდებაძე და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ნინო ნახუცრიშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა გოდერძი ბუჩაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თავლსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა დადებით იყო, თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამის შემადგენელი სილაბუსებში საკონტაქტო საათები გადანაწილებული იყო ლექციისა და სემინარების სახით, თუმცა აღნიშნული გადანაწილება სილაბუსები გარკვეულ ნაწილში არ იყო ჩაშლილი კვირეულ თემატიკის მიხედვით. ექსპერტთა აზრით, სასურველი იყო ლექცია და სემინარი ასევე გაწერილიყო კვირების მიხედვით;
- სასურველი იყო პროგრამის შემადგენელ „განათლების პოლიტიკის“ კურსის სილაბუსის შინაარსს დამატებოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის შინაარსი; „პედაგოგიური ეთიკის“ კურსის სილაბუსის შინაარსს დამატებოდა მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შინაარსი; „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ სილაბუსში შეფასება „დასწრება/აქტიურობა“ შეცვლილიყო ტერმინით „დასწრება“;
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამით განსაზღვრული არჩევითი კურსი „კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობის“ სტატუსი განსაზღვრულიყო სავალდებულოდ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შალვა ჭკადუამ მადლობა გადაუხადა ექსპერებს განმავითარებელი რეკომენდაციების შემუშავებისთვის. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედი წესების მიხედვით, შეფასებას ექვემდებარებოდა სტუდენტის აქტივობა და არა დასწრება, უნივერსიტეტში დამკვიდრებული

პრაქტიკაც შესაბამისი იყო. წარმოდგენილ შემთხვევაში, სილაბუსში ჩარჩენილი იყო ტექნიკური უზუსტობა, რაც უმოკლეს ვადებში გამოსწორდა. წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ე.წ. „რიდერში" ყველა საკითხი იყო გათავლსიწინებული და აღნიშნულ შემთხვევაშიც, ტექნიკური პრობლემა იყო სახეზე. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ შესასწავლი თემების ჩამონათვალს დაემატა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიც, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები, ხოლო ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში გადავიდა სასწავლო კურსი „კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა".

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებული იყო დიდაქტიკაზე და პრაქტიკაზე, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი 13 კრედიტის მოცულობით იყო წარმოდგენილი. პრაქტიკის განხორციელების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ მხოლოდ ორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათან. წარმომადგენლის თქმით, სკოლის თანამშრომლები აქტურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში, შემუშავების ეტაპზე, გაეცნენ საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თუ იყო განმავითარებელი შეფასების მიცემა, ასევე, რა სასწავლო მასალები გამოიყენებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემებით და სტატიებით, სწავლების პროცესში ეფექტურად გამოიყენებოდა იმიტირებული გაკვეთილები, გათვალისწინებული იყო როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასება.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, განათლების პოლიტიკის სასწავლო კურსი ყველა დოკუმენტში იყო წარმოდგენილი თუ მხოლოდ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე იკითხა ჯგუფმა დამოუკიდებლად იმუშავა, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბდა დაწესებულებაში არსებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. ასევე, მათი მოლოდინით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რამდენად შეძლებდნენ კურსდამთავრებულები პროფესიული გამოცდის ჩაბარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი, დაწესებულების თქმით, თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობდა, სასწავლო კურსების შემუშავება ერთი პირის მიერ არ განხორციელებულა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების საკმაოდ კარგი შესაძლებლობა ჰქოდნათ კურსდამთავრებულებს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ გეგმავდა დაწესებულება სასწავლო კურსების ადმინისტრირებას, როგორ მოიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ სრული კონტინგენტიდან მხოლოდ ერთი აირჩევდა ქიმიის მოდულს, ასევე, სად უნდა გაევლოთ ქიმიის მოდულის სტუდენტებს პრაქტიკის მოდული და ლაბორატორიული სამუშაოები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იყო საერთო სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულისთვის, სასწავლო კურსების განხორციელება იგეგმებოდა იმგვარად, რომ მასში ჩართულები ყოფილიყვნენ სხვადასხვა მოდულის სტუდენტები, მხოლოდ რამდენიმე სასწავლო კურსის ინდივიდუალური წესით დანიშვნა იყო აუცილებელი, რაც დიდ ფინანსებთან არ იყო დაკავშირებული.

პრაქტიკის კომპონენტის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულყოფილი პრაქტიკის განხორციელება ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ფეტვიაშვილმა და გოდერძი ბუჩაშვილმა წარადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- უფრო ეფექტიანი შეფასების მიზნით, სასურველი იყო, დახვეწილიყო მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა;
- სასურველი იყო, ზოგადი განათლების სისტემის მართვის კურსის სილაბუსის შინაარსს დამატებოდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და წინსვლის სქემის განხილვა;
- მასწავლებლის პროგრამის მიზანში განსაზღვრული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადება, თუმცა უცხოური ენის (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) მასწავლებლის სტანდარტში არ იყო გამიჯნული საფეხურები და საგნობრივი გამოცდაც ერთიანად ტარდებოდა, ამიტომ ეს ჩანაწერი შეზღუდავდა უცხო ენის მასწავლებლის მომზადების შემთხვევაში, დაზუსტებულიყო სამივე საფეხური. მაგალითად, გაკეთებულიყო შემდეგი ჩანაწერი: „უცხოური ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადება";
- უცხო ენების სწავლების მეთოდიკის ზოგიერთ სილაბუსში სწავლების ენა დაფიქსირებული იყო მხოლოდ ქართული. მიზანშეწონილი იყო დამატებოდა შესაბამისი სწავლების ენაც ან დარჩენილიყო მხოლოდ უცხოური ენა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება. პროგრამის ხელმძღვანელმა თანმიმდევრობით განმარტა უნივერსიტეტის პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან მიმართებით.
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში უკვე შეტანილი იყო ცვლილებები, განხილული იყო შესაბამის დეპარტამენტში და გავიდოდა უახლოესი აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ასევე დაამატა, რომ პროგრამა შედგენობა შემდეგი მოდულებისაგან: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, ისტორია, მუსიკა.

ასევე აღნიშნეს, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაცია პროფესიული განვითარების სქემის საკითხად დამატებასთან დაკავშირებით. ასევე, გასწორდა ჩანაწერი უცხო ენების შესახებ. რაც შეეხებოდა ენის მითითებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა არჩევანი შეაჩერეს ორმაგ ჩანაწერზე, ანუ უცხო ენების მეთოდიკის სწავლების სილაბუსებში შესაბამის უცხო ენასთან ერთად, დაამატებდნენ ქართულ ენას, მათი თქმით, მხოლოდ უცხო ენას ვერ დატოვებდნენ, რადგან კურიკულუმში სწავლების ენად ქართული იყო მითითებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას გამოკვლეული, რეგიონის მასშტაბით რა მდგომარეობა იყო მასწავლებლების მოთხოვნის კუთხით, რომელი მიმართულებები იყო განსაკუთრებით დეფიციტური.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა რომ ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 12 მუნიციპალიტეტთან, სკოლებთან გარშემო რეგიონებიდან, მათ შორის, ზუგდიდსა და მარტვილში. კვლევის მიხედვით, მასწავლებლების 75% აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო. საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა რეგიონში ფრანგულ და გერმანულენოვანი სკოლების ფუნქციონირებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ასეთი სკოლები არსებობდა, მაგრამ წლების განმავლობაში ინგლისურენოვანმა სკოლებმა ჩაანაცვლეს, რის გამოც, მოთხოვნა ფრანგული და გერმანული ენების მასწავლებლებზე შემცირდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა სერტიფიცირებული პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზუსტ რიცხვს ვერ დაასახელებდნენ, თუმცა რაოდენობრივად პრაქტიკოსი მასწავლებლები ბევრად ჭარბობდნენ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ შერჩეული მიმართულებები იყო ტრადიციული და შაბლონური, სკოლებში დიდი მოთხოვნა იყო ბუნებისმეტყველების მასწავლებელზე და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში დაამატებდნენ ამ მოდულსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ბალანჩივაძემ და ქეთევან ბოტკოველმა წარადგინეს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა დღემდე არ იყო განხორციელებული და დაინტერესება დიდი იყო. უნივერსიტეტს შესწავლილი ჰქონდა რეგიონის ბაზარი, დამსაქმებლებისგან მოწოდებული ინფორმაციით, მასწავლებლებს აკლდათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ამიტომ პროგრამაში პრაქტიკას დაეთმო 25 კრედიტი, რასაც ექსპერტები მიესალმებოდნენ. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საგნის სწავლების სილაბუსების მიხედვით, სტუდენტი ვალდებული იყო სემესტრის განმავლობაში ჩაეტარებინა 2 სამოდელო გაკვეთილი, რომელიც შეფასდებოდა მინიმუმ 10 ქულით. სასურველი იყო, საგნის სწავლების დროს, ასევე, წარმოდგენილი ყოფილიყო მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;
- უცხო ენების სწავლების სილაბუსების მიზანი იყო საბაზო და საშუალო საფეხურების მასწავლებლის მომზადება. შესაბამისად იყო გაწერილი სწავლების მეთოდიკაც. სასურველი იყო ამ კონკრეტულ სილაბუსებს მიზანში დამატებოდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება და შინაარსი შევსებულიყო შესაბამისი მეთოდიკით, რადგან უცხოური ენების მასწავლებლის სტანდარტი ითვალისწინებდა სწავლების სამივე საფეხურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც სწავლების მეთოდიკის, ასევე სხვა საგნების სილაბუსებში გაწერილი იყო კრიტერიუმები. მან აღნიშნა, რომ გათვალისწინებულ იქნა ორივე რეკომენდაცია და პროგრამაში უკვე შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები. პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

საბჭოს თავმჯდომარე საინტერესდა, ფლობდა თუ არა დაწესებულება რეგიონში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა აღნიშნულ მონაცემებს არ მოიცავდა, იგი ამ ინფორმაციას დამატებითი წყაროებიდან ფლობდა. კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადგილობრივ სატელევიზიო არხზე იგი უძღვებოდა გადაცემას განათლების საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც მას შეხება ჰქონდა აღნიშნულ სტატისტიკურ ინფორმაციასთან. წარმომადგენლის განცხადებით, ბათუმში 2230 მოქმედი მასწავლებელი იყო, საიდანაც 2003

მასწავლებელი ჩართული იყო სქემაში. ამათგან, 10 წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ფლობდა, 71 - უფროსი მასწავლებლის, ხოლო 149 - პრაქტიკოსი მასწავლებლის. სქემის გარეთ რჩებოდა 227 მასწავლებელი. სქემაში სრულად იყო ჩართული 27 საჯარო სკოლა და 18 კერძო სკოლიდან - 13 სკოლა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა მუნიციპალიტეტთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილობრივი რესურსცენტრი ყოველთვის ჩართული იყო პრაქტიკაში. 5 კრედიტი ეთმობოდა პრაქტიკას ქალაქში, ხოლო 10 - სოფლებში. ასევე, ხდებოდა შეთანხმება მოსახერხებელი ადგილმდებარეობის შესახებ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა დასაქმების პერსპექტივებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც, სკოლის დირექტორები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ კურსდამთავრებულებით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს იგივე კითხვით მიმართა, რაც სხვა უნივერსიტეტებს, კერძოდ ის დაინტერესდა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების რაოდენობით და ამ მიმართულებისადმი სტუდენტების სდაინტერესებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტები არ იყვნენ დაინტერესებული საბუნებისმეტყველო მიმართულებით, თუმცა 1 სტუდენტიც რომ ჩარიცხულიყო აღნიშნულ კურსზე, დაწესებულება მზად იყო, ერთი სტუდენტის ფარგლებშიც განეხორციელებინა პროგრამა, რის დასადასტურებლადაც, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქიმიის პროგრამაზე 1 და ფიზიკაზე 3 სტუდენტი ჰყავდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებდა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ კურსებს, მეთოდიკებს, არჩევით კურსებს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სასურველი იყო, საგნის სწავლების მოდულებში უფრო მეტად გამახვილებულიყო ყურადღება მოსწავლეთა შეფასების რუბრიკაზე.პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია. ექსპერტმა დაამატა, რომ როგორც ჩანდა, ეს პრობლემა ყველა პროგრამას ჰქონდა, და გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკაში შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო, მხოლოდ უნივერსიტეტში ჰქონდათ საშუალება სტუდენტებს შეეძინათ ეს უნარები. ექსპერტის თქმით, სტუდენტებს მომავალში კონკურენცია უნდა გაეწიათ არსებული მასწავლებლებისთვის, ამიტომ იყო ეს რეკომენდაცია წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მინდოდაშვილმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ექსპერტების რეკომენდაციას, ეს გააძლიერებდა სასწავლო კურსს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს სიღრმისეული შეფასებისთვის. უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული იყო ეს მიმართულება, რადგან მას მხოლოდ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი განახორციელებდა, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში.

ლევან მინდოდაშვილმა აღნიშნა, რომ შესწავლილი ჰქონდათ რეგიონის მოთხოვნა და პროგრამის შემუშავება სწორედ ამას ეფუძნებოდა, სირთულეები იყო მასწავლებელთა კონტინგენტის მხრივ, სოფლებში, სადაც მასწავლებელთა ასაკი საკმაოდ მაღალი იყო, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. მან დაამატა, რომ უნივერსიტეტი იაზრებდა, რომ მოთხოვნა შესაძლოა დიდი არ ყოფილიყო და ცოტა სტუდენტი დაინტერესებულიყო, მაგრამ რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, მათ უღირდათ ამ პროგრამის განხორციელება. მზად იყვნენ, ფინანსურად წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ, სამაგიეროდ, რეგიონისთვის ეს დიდ დახმარებას წარმოადგენდა. მან იმედი გამოთქვა, რომ მასწავლებლის პროფესია გახდებოდა მომხიბვლელი და სტუდენტების რაოდენობაც მოიმატებდა.

თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ ხშირად ახსენებდნენ 70-წელზე ზემოთ ასაკის მასწავლებლების პრობლემას, მან განაცხადა რომ 70 000 მასწავლებლიდან 70-80 წლის ასაკის 2 000 მასწავლებელი იყო, 61-71 წლის შუალედში 10 000. მისი მოსაზრებით, ასაკზე მეტად კომპეტენციის პრობლემა იდგა.

თავმჯდომარე დაინტერესედა უნივერსიტეტის ხედვით, ახალი სქემის ჭრილში, ახალი მასწავლებლების მოზიდვის პრობლემასთან დაკავშირებით.

ლევან მინდოდაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვისაც პრიორიტეტული იყო განათლების პროგრამა, რექტორს სასკოლო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა - რესურსცენტრის ხელმძღვანელი იყო და ამ შესაძლებლობას იყენებდნენ კონტაქტების დასამყარებლად. მისი აზრით, მასწავლებელს აუცილებელი უნარები უნდა მიეღო უნივერსიტეტში.

ნათელა სახოკია დაინტერესდა რომელი უცხო ენების მიმართულებები ჰქონდათ შემუშავებული.

ეკატერინე გიგაშვილმა უპასუხა, რომ გერმანული და ინგლისური ენები ჰქონდათ. კვლევის შედეგად გაითვალისწინეს ის მიმართულებები სადაც დეფიციტი იყო და მოთხოვნა დიდი, მნიშვნელოვანი იყო დაემატებინათ ფიზიკისა და ქიმიის მიმართულბებიც, მაგრამ ამ ეტაპზე ლაბორატორიები არ უწყობდათ ხელს პროგრამის სათანადოდ განსახორციელებლად. მან აღნიშნა, რომ ბაკალავრიატთან ინტეგრირებული პროგრამაც ჰქონდათ და ამ შემთხვევაში, ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკას ასწავლიდნენ, რისი რესურსიც არსებობდა უნივერსიტეტში. საბჭოს წევრები დაინტერესდენენ, სკოლის ლაბორატორიების გამოყენება თუ იქნებოდა მიზანშეწონილი. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენება მხოლოდ პრაქტიკის თვალსაზრისით შეიძლებოდა, მაგრამ აუცილებელი იქნებოდა ადგილზე უზრუნველყოფაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ განაცხადა აცილებების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ელბაქიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამას დადებითად აფასებდა და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ერთადერთი რეკომენდაცია - ცალკე საგნად გამოსულიყო კვლევის მეთოდები, თუმცა დაწესებულების არგუმენტაცია, რომ მეთოდები ინტეგრირებული იყო სხვადასხვა კურსში, ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღები იყო. პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან:ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული როგორც მეორე უცხო ენის მასწავლებელი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რისი კვლევის მეთოდებზე იყო საუბარი. ექსპერტმა განმარტა, რომ განათლების კვლევის მეთოდები მასწავლებელს სჭირდებოდა მოსწავლისთვის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენისთვის, ანალიზისთვის და ა.შ. ამიტომ მაინც დატოვეს რეკომენდაცია.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა საბუნებისმეტყველო საგნებზე არსებული მდგომარეობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიკო ლობჟანიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმის დეპარტამენტიც. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ექსპერტების მონაწილეობით, პრაქტიკის კონცეფციის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა სკოლა, რომელთანაც თანამშრომლობდა უნივერსიტეტი, ასევე სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და სხვა დაინტერესებული პირები, მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამაში აისახა.

წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ წარმოადგენდა აკადემიურ პროგრამას, კურსდამთავრებულს არ ენიჭებოდა ხარისხი, ამიტომ თეორიული კურსის ცალკე გამოტანას არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, თუმცა ყველა პრაქტიკულ კურსში კვლევის მეთოდები ჩაშენებული იყო. კვლევის მეთოდები უნივერსიტეტს ძირითად პროგრამაში ჰქონდა გამოყენებული. მან დაამატა, რომ პროგრამა გადიოდა კვლევის უნარებზე რომელიც მასწავლებელს მოეთხოვებოდა. ნათელა სახოკიას კითხვასთან დაკავშირებით, მან უპასუხა,რომ უნივერსიტეტს ძალიან მდიდარი ლაბორატორია ჰქონდა, ამიტომ ფიზიკის მიმართულებით პრობლემა არ ჰქონდათ. სტუდენტებს ასევე უშვებდნენ ევროპულ სკოლაში, რომელიც კარგი ლაბორატორიით იყო აღჭურვილი. მან აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის ფარგლებში, ამ პროგრამაზე ყოველწლიურად ბიოლოგიასა და ფიზიკაზე მსურველთა რაოდენობა იზრდებოდა. ამჯერად, ბიოლოგიის მიმართულებით სწავლობდა 17 სტუდენტი.

თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, მისი აზრით, რა იყო უფროსი მასწავლებლის მომზადებაში ყველაზე დიდი გამოწვევა, რა სირთულეებს შეიძლება დაჯახებოდა ახალი სქემის ჭრილში მეორე დონეზე გადასასვლელად. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ახლანდელ ვითარებაში მასწავლებლებს პრობლემა ექმნებოდათ საგნის ჩაბარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები კი როცა უნივერსიტეტში მოვიდოდნენ, უკვე ჩაბარებული ჰქონდათ საგნის გამოცდა საგანში, ამიტომ საჭიროებდნენ მხოლოდ სწავლების მეთოდების ათვისებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დანარჩენი საკითხები სქემის ნიუანსებს წარმოადგენდა, ეტაპებს, რომლებიც მასწავლებელს უნდა დაეძლია შემდეგ საფეხურზე გადასვლისთვის. მან განაცხადა, რომ დღეს არსებული მასწავლებლებისთვის საგნობრივი კომპეტენცია წარმოადგენდა ყველაზე დიდ პრობლემას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რითი იყო გამოწვეული სკოლების ინტერესი უნივერსიტეტთან ურთიერთობისადმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა რომ პროგრამა მათთან თანამშრომლობდა გოეთეს ინსტიტუტი, მათთვის სწავლების გამოცდილება იყო საინტერესო, ასევე ახალი ცოდნის შექმნა, თანამშრომლობდნენ 40-ზე მეტ სკოლასთან მემორანდუმების ფარგლებში, თანამშრომლობდნენ ყველა ტიპის სკოლასთან რათა სტუდენტს ენახა სხვადასხვა გარემო. მასწავლებლების ყველაზე დიდი გადინება პირველ სამ წელიწადში ფიქსირდებოდა, რადგან ვერ უმკლავდებოდნენ სირთულეებს. საკვალიფიკაციო ნაშრომს სტუდენტები ასრულებდნენ პრაქტიკის კვლევაში, პრაქტიკის კვლევა სავალდებულო აქტივობას წარმოადგენდა უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში გადასასვლელად.

ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ გონიერი დირექტორი ყოველთვის ეძებს პერსპექტიულ კადრს, ახალი ცოდნა იქმნება უნივერსიტეტში ამიტომ მისი აზრით, გაუგებარი ის უფრო იქნებოდა, რომ არ სდომებოდა სკოლას უნივერსიტეტთან ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა აცილების შესახებ.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა ნინო ჩიქოვანმა და ზურაბ ჩხიკვაძემ. ნინო ჩიქოვანმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების განსაზღვრისას სხვა მოდულების მსგავსად ინგლისური ენის მასწავლებლის მომაზადების მოდულშიც საბაზო და საშუალო საფეხური იგულისხმებოდა, ხოლო მასწავლებლის მომზადების მოდულშიც საბაზო და საშუალო საფეხური იგულისხმებოდა, ხოლო მასწავლებლის სტანდარტისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების ზოგად სტანდარტში მოიაზრებოდა სამივე საფეხური: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. ექსპერტთა რეკომენდაციით, პროგრამაში უნდა შესულიყო ცვლილება და ინგლისური ენის მასწავლოებლის მომზადების პროგრამაში დაემატებოდა დაწყებითი საფეხურიც.
- დასკვნითი გამოცდა ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის სილაბუსში კომბინირებული იყო და მოიცავდა 20 კითხვიან ტესტურ დავალებას, რომელიც ფასდებოდა მაქსიმუმ 20 ქულით და 10 ქულიან პრეზენტაციას, თუმცა მისთვის დათმობილი დრო ჯამში 1 საათი იყო, რომელიც სავარაუდოდ საკმარისი არ იქნებოდა, რადგან დროის ამგვარი გადანაწილება ეჭვქვეშ აყენებდა გამოცდის ჩატარების ხარისხს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, თითოეულ სილაბუსში საგნის საჭიროების მიხედვით უნდა განისაზღვრულიყო საგამოცდო დრო, რათა გამოცდა მეტად ვალიდური და გამჭვირვალე გამხდარიყო და ჩამჯდარიყო დროის ლოგიკურ ჩარჩოში.
- სტუდენტთა შეფასების ნაწილში რამდენიმე სილაბუსში, მათ შორის ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის სილაბუსში შუალედური შეფასების კრიტერიუმები ოდნავ ბუნდოვანი იყო, რასაც შესაძლოა გაურკვევლობა გამოეწვია სტუდენტებშიც. მაქსიმალური შეფასება 2-ქულა იყო, ხოლო მინიმალური 0 და გადანაწილებული იყო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით: 1.5 - 2.0, 1.0 – 1.5, 0.5 – 1.0, 0 – 0.5, სადაც გაუგებარი იყო ქვედა და ზედა ზღვარი მაქსიმალურ და მინიმალურ შეფასებებს შორის. შეფასების სქემა მეტად გასაგები და გამართული უნდა ყოფილიყო, რომ არ გამოეწვია სტუდენტებში ორაზროვნება და გაურკვევლობა.

საბჭოს თავმჯდომარე მაგდა მაღრაძე დაინტერესდა რა მიმართულებები იყო გათვალისწინებული პროგრამით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით პროგრამით გათვალისწინებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის,

ისტორიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, გერმანული ენის, ინგლისური ენის მიმართულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინგლისურის მასწავლებლის მომზადების საგნობრივ რგოლში არ იყო გამოყოფილი საფეხურები, არამედ ენის სწავლების მთლიანი ციკლი. სემინარებზე ჯგუფებში ხდებოდა მუშაობა სადაც სხვადასხვა კლასის მასალით განიხილებოდა კონკრეტული ასპექტები. ამიტომ არ იყო ინტეგრირებული დაწყებითი საფეხური. მისი თქმით თუ საბჭოც აუცილებლად თვლიდა აღნიშნული საკითხის გათვალისწინებას, დაწესებულება შეიტანდა პროგრამაში ცვლილებას და სამივე საფეხურს ასახავდა.

დასკვნით გამოცდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯგუფი იყოფოდა 20-25 სტუდენტიან ჯგუფებად. როდესაც კომბინირებული გამოკითხვის და შეფასების კრიტერიუმები გამოიყენებოდა. დასკვნით გამოცდაზე 5-5 სტუდენტად იყოფოდა და ერთი საათი საკმარისი იყო. მაღალ საფეხურებზე მომხსენებლებს 10-12 წუთი ეთმობოდათ. სტუდენტებს თავიდანვე მიეწოდებოდათ ინფორმაცია შემაჯამებელი გამოდის შესახებ ყველა დეტალთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რა ტიპის ტესტი იყო დახურული თუ ღია. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტესტი იყო დსახურული.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივნისის დადგენილება სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებისა და შკალების საუნივერსიტეტო წესის დამტკიცების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციას, რომ ბუნდოვანი იყო შეფასების კრიტერიუმები, თუმცა მისი აზრით აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზად უნდა მიჩნეულიყო. მისი თქმით იმდენად ფორმალური და წვრილმანი საკითხი იყო, რომ იქამდე ყურადღება არავის გაუმახვილებია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ დროის სიმცირის გამო აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამაში ცვლილებების შეტანა ვერ მოესწრო, თუმცა უახლოეს საბჭოზე წარადგენდნენ განსახილველად.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამა ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული თუ მოწვეული. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებლებიდან მხოლოდ 4 მათგანი იყო წინასწარი ხელშეკრულებით, დანარჩენი ადგილობრივი კადრი იყო, მათ შორის მიმართულებების მიხედვით.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები რომლებსაც სურდათ მასწავლებლის მომზადების პროგრამის დამატება ყველას ჰქონდა მრავალწლიანი გამოცდილება პედაგოგიური პროგრამების სწავლებისა. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფილი განსხვავებული იყო და არც მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება ჰქონდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა რით იყო განპირობებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელების შესახებ უნივერსიტეტის გადაწყვეტილება განპირობებული.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით მასწავლებლის მომზადების პროგრამა სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენდა მაღალი საჭიროებიდან გამომდინარე. რაც შეეხებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის, მისი თქმით, ჰუმანიტარული ფაკულტეტი 1993 წლიდან არსებობდა უნივერსიტეტში. ამასთან, ქართული ენის დეპარტამენტში 2013 წლიდან წარმატებით ახორციელებდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამას არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა. პედაგოგების მომზადებას რაც შეეხებოდა, მისი თქმით, ბევრი მიმართულება და ბევრი სასწავლო ცენტრი ჰქონდა უნივერსიტეტს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გადიოდა თუ არა შედეგზე. რაზეც ექსპერტებმა განმარტეს, რომ თუ გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციებს პროგრამა შედეგზე გავიდოდა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს სხდომა 17:05 წუთზე დატოვეს ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა.
საბჭოს სხდომას 17:07 წუთზე შემოუერთა თამარ ბრეგვაძე.

8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა ნინო ჟვანიამ და მიხეილ ტეფნაძემ. პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: მათემატიკა, ინფორმატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა. ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა აზრით საჭირო იყო უფრო ნათლად განსაზღვრულიყო პროგრამაში შემავალ კურსებში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები;
- მომხდარიყო პროგრამაში განსაზღვრული სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სწავლა-სწავლების პროცესის უკეთესი ეფექტი. კერძოდ, კურსში „განვითარებისა და სწავლების თეორიები“ ყოფილიყო გათვალისიწნებული სწავლების ინტერაქტიული ისეთი მეთოდები. როგორიც არის - შემთხვევის ანალიზი და სიმულაცია;
- პროგრამის კურსში „ისტორიის სწავლების პრაქტიკუმი“, პროგრამის ძირითადი აქცენტი გაკეთებულიყო პრაქტიკის რეფლექსიაზე და არა პრაქტიკის კვლევაზე;
- უნივერსიტიტეტის პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნისთვის დაიგეგმილიყო და განხორციელებულიყო, ინტერვენცია, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციების გათვალისწინება ვიზიტის მიმიდინარეობის დროსვე დაიწყეს. ჩაიშალა და განივრცო შეფასების კრიტერიუმები. გათვალისწინებულ იქნა ინტერაქციული მეთოდები. ყოველივე ამას პროფესორი, რეალურად, სწავლების პროცესში იყენებდა თუმცა სილაბუსში არ იყო ასახული.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი პრაქტიკის კვლებასა და რეფლექსიაში. დაწესებულების განმარტებით, რეფლექსია წარმოადგენდა შედეგების გამოსწორებას, კვლევა კი მის წინამორბედ პროცესს, კვლების საფუძველზე შედეგების გაუმჯობესებას.

თამარ ბრეგვაძის თქმით პრაქტიკის კვლევა ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა გააზრებული ტერმინები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ ჰქონდა დაწესებულებას ინფორმაცია რამდენად მოთხოვნადი იყო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად ემსახურებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონს, ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თამარ ბრეგვაძემ.

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა თუთა ნარმანიამ განაცხადა აცილების შესახებ.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა კახა ჟღენტმა და ნინო ფეტვიაშვილმა. პროგრამა შედგებოდა შემდეგი მოდულებისაგან: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ისტორია. მათ საბჭოს გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა რეკომენდაციით, პროგრამის მიზანში სასურველი იყო დაკონკრეტებულიყო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული მიმართულებები და ქვემიმართულებები. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის მიმართულება: საბაზო და საშუალო საფეხურის ისტორიის მასწავლებელი; ან უცხოური ენების მიმართულება: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი;
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი და გარდა დარგობრივი მახასიათებლით გათვალისიწინებული ზოგადი ფორმულირებებისა, დაკონკრეტებულიყო საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. სასურველი იყო, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი და გარდა დარგობრივი მახასიათებლით გათვალისიწინებული ზოგადი ფორმულირებებისა, დაკონკრეტებულიყო საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. სწავლების მეთოდიკის რამდენიმე სასწავლო კურსში, რომლებიც თანმიმდევრობით (პირველ და მეორე სემესტრში) ისწავლებოდა მიზნები და შედეგები იდენტური ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლების ახსნით ეს ტექნიკური ხარვეზი იყო. სასურველი იყო, პროგრამის განხორციელების დაწყებამდე ამ კურსების შედეგები და მიზნები გამიჯნულიყო.
- მომხდარიყო ყველა სილაბუსისა და სასწავლო გეგმის შესაბამისობის ტექნიკური გადამოწმება.
- სასწავლო კურსების შინაარსი (თემატიკა), ზოგიერთ შემთხვევაში დახვეწას ან უფრო დაკონკრეტებას მოითხოვდა. ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის სწავლების მეთოდიკის სილაბუსების თემატიკაში დასამატებელი ან დასაკონკრეტებელი იყო ისეთი საკითხები როგორიცაა: ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო; მოსწავლის და მასწავლებლის სტანდარტის საკითხები საფეხურების და სწავლების განსხვავებების გათვალისწინებით (უცხოური ენების შემთხვევაში); დასაკონკრეტებელი იყო სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვის სწავლება საგნობრივ ჭრილში და მოსწავლის შეფასების სწავლება, რუბრიკების შედგენა და კრიტერიუმების განსაზღვრა როგორ ხდებოდა.

- ზოგადი კურსების (პედაგოგიური დისციპლინების) სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული რუსულენოვანი და გერმანული სახელმძღვანელოები გადატანილ ყოფილიყო დამატებითში.
- მეთოდიკის სწავლების სავალდებულო ლიტერატურაში (თემატიკაში) მიეთითებული ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმა (საგნობრივი სტანდარტი) და მასწავლებლის სტანდარტი;
- სასწავლო კურსის „განათლების ისტორია და თანამედროვეობის ლიტერატურის" ჩამონათვალს დაემატებოდა თანამედროვე ლიტერატურა.
- რეკომენდებული იყო, დასწრების კომპონენტის ჩანაცვლება ან ამოღება, მრავალკომპონენტიანი შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა და დახვეწა, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის, ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების განსაზღვრისა და შეფასების გამჭვირვალობისა და ვალიდურობის მიზნით.
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვდა, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ფლობდეს წარჩინებული მასწავლებლის სტატუსის უნარებს, რომელთა შორის საკუთარი პრაქტიკის კვლევა იქნებოდა ერთ-ერთი საკვანძო უნარი. პროგრამა მოიცავდა კურსს „პედაგოგიური კვლევის საფუძვლები", მაგრამ კურსი უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, თუმცა მის მისაღწევ შედეგებში აღნიშნული იყო, რომ „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება" მიმართულებით, კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:
  - უშუალოდ კვლევის ჩატარება ხელმძღვანელის დახმარებით;
  - კვლევის შედეგების ნაწილობრივ დამუშავება.

პედაგოგიური პრაქტიკის კურსის სილაბუსშიც არ იყო ასახული საკუთარი პრაქტიკის კვლევის ელემენტები. აუცილებელი იყო, აღნიშნული საკითხი დამატებოდა შესაბამის სასწავლო და პრაქტიკის კურსს, რათა სრულად ყოფილიყო დაფარული დარგობრივი მახასიათებლის და წარჩინებული მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი მოთხოვნები.

პროგრამის მიზნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიზანში ვერ დაიწერებოდა მასწავლებლის მომზადება რადგან საგნობრივი ცოდნა უკვე უნდა ჰქონოდა პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს. მიზანი იყო გარკვეული პროფესიული უნარებით აღჭურვა. მით უმეტეს, რომ პროგრამა კვალიფიკაციას არ ანიჭებდა.

რეკომენდაციები სწავლის შედეგებზე, სასწავლო კურსის წინაპირობებზე, თემატიკასა და სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულებისათვის მისაღები და გასათვალისწინებელი აღმოჩნდა.

შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურურის მოთხოვნით შეფასებიდან ამოღებულ იქნა დასწრების კომპონენტი. ბევრი სილაბუსი გასწორდა და დასწრება და აქტიურობა გაერთიანდა ერთ კომპონენტად, თუმცა მაინც დარჩა რამდენიმე სილაბუსი სადაც ტექნიკურად ისევ დარჩენილი იყო დასწრების კომპონენტი.

კვლევასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვლევის საფუძვლების დამატებით პროგრამას უნივერსიტეტი ბაკალავრიატის სტუდენტებს 2002 წლიდან სთავაზობდა, დაგროვილი ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისა, მასწავლებელი მუშაობდა ისე, რომ საგანი იყო არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ ქმნიდა ჯგუფებს, რომლებიც მცირე კვლევით პროექტებს ახორციელებდნენ. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელმა მზაობა გამოხატა ექსპერტთა რეკომენდაციის გათალისწინებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ვეფხვაძემ კომენტარი გააკეთა შეფასებაში დასწრების კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით. შესაბამის ბრძანებაში ფორმულირებული იყო, რომ სტუდენტთა აქტივობა მოიცავდა დასწრებას, შესაბამისად უნივერსიტეტში რიგ მიმართულებებში დასწრების კომპონენტი მართლაც ფასდებოდა. თუმცა განმარტებული იყო რა შემთხვევაში შეიძლებოდა შეფასებულიყო დასწრება აქტიურობასთან ერთად. მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის სექტემბერში ძალაში შევიდოდა მინისტრის ცვლილება აღნიშნულ ბრძანებაში ვარიანტი უნივერსიტეტი ყველა პროგრამის სილაბუსს დაარედაქტირებდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ გააკეთა, კომენტრარი, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების პროგრამები, გათვლილი იყო სამომავლო დახვეწასა და სრულყოფაზე. მოცემული დროისათვის ყველა პროგრამა ხარვეზიანი და დასახვეწი იყო. იგი დაინტერესდა, რა იყო ყველაზე მნიშნელოვანი გამოწვევა ზოგადად პროგრამისათვის და ამ პროგრამის ფარგლებში კონკრეტულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. რა საკითხებს მიაქცევდა უნივერსიტეტი ყურადღებას პროგრამის გაუმჯოვესების გზაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული საკითხი დიდი ფიქრის საგანი იყო და მისი აზრით, კარგი იქნებოდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩატარებულიყო ერთობლივი კონფერენცია და უნივერსიტეტებს ემსჯელათ პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მრავალი წელია ახორციელებდა მასწავლებლის მომზადების დამატებით პროგრამას ბაკალავრიატის დონეზე და ამ მხრივ დიდი გამოცდილება ჰქონდა, აღნიშნული პროგრამა მაინც განსხვავებული იქნებოდა, სადაც მივიდოდა ჩამოყალიბებული პროფესიონალი, რომელსაც პროგრამიდან უნდა მიეღო კონკრეტული უნარები, რომელსაც შემდგომ სკოლაში გამოიყენებდა. ამისათვის დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი სასწავლო კურსი „სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა“ . ასევე, ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ყველა კითხვას გაეცა პასუხი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ექსპერტის თქმით, პროგრამის სწავლების ენას წარმოადგენდა ქართული და ინგლისური. სასწავლო კურსების ნაწილი ისწავლებოდა ქართულად, ნაწილი - ინგლისურად, უცხოელი და ქართველი ლექტორების ჩართულობით. პროგრამა მოიცავდა ქართული ენისა და ინგლისური ენის სწავლების მოდულებს.

საბჭოს წევრების კითხვაზე პასუხად, დაწესებულებამ განაცხადა, რომ პროგრამაში 800 სტუდენტი იყო ჩართული.

7:51 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ რატომ ერქვა დაწესებულებას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. პასუხად, დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი ყველაზე ახლოს იყო დაწესებულების მიზნებთან და გეგმებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გახელაძემ მადლობა მოახსენა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მისივე თქმით, პროგრამაში უცხოელი პედაგოგების ჩართულობა მნიშვნელოვან გამოცდილებას სძენდა პროგრამას და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს და მას პროგრამის წარმატებასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში სფეროს ძლიერი სპეციალისტები იყვნენ ჩართული და დაინტერესდა, რა სახის ხელშეკრულებები იყო გაფორმებული მათთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე პედაგოგებს მუდმივი კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული, თუმცა მოწვეული სპეციალისტები ვადიანი კონტრაქტის საფუძველზე იყვნენ დასაქმებულები - 11 პედაგოგიდან 4 პედაგოგს დაწესებულებასთან 1 წლიანი ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გახელაძემ განაცხადა, რომ პროგრამაზე ორი - ქართული ენისა და ლიტერატურის და ინგლისური ენის მიმართულებები იყო, რომლებზედაც ბაზარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდებოდა. წარმომადგენლის თქმით, ქვეყნის მასშტაბით, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების რიცხვი კლებულობდა, ხოლო ინგლისურის ენის მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების მზარდ ტენდენციას აჩვენებდა, მაინც მაღალროტაციული იყო და პედაგოგები ხშირად იცვლებოდნენ.

დაწესებულებას მიზნად ჰქონდა დასახული, რომ მის მიერ გამოშვებული კადრები სკოლაში ხანგრძლივი ვადით დაფუძნებულიყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ განათლების მიმართულებით დაწესებულება, გარდა აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა, ინგლისურის ფილოლოგიისა და განათლების კვლევების პროგრამებს ახორციელებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, კახა ჟღენტმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის, ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოდულებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში მითითებული ყოფილიყო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებები და ქვემიმართულებები. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის მიმართულება: ისტორიის მასწავლებელი.
- ქართული ენა ინტეგრირებულად ისწავლებოდა ლიტერატურასთან, ამიტომ, ექსპერტთა რეკომენდაციით, სასწავლო კურსის სახელი „ქართული ენის მეთოდიკა" უნდა შეცვლილიყო და დარქმეოდა „ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკა" და სილაბუსის შესაბამისი თემატიკა (მხატვრულ ლიტერატურაზე, სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობის მეთოდები) დაკონკრეტებულიყო.
- ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებში სწავლის შედეგებში სწავლის უნარის განვითარება არ იყო გათვალისწინებული, როდესაც ეს უნარი მითითებული იყო ისტორიის, ინგლისურისა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებში.
- ფიზიკის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის მიზნები იდენტური იყო, რაც ექსპერტთა მოსაზრებით, ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა.
- ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველი იყო, საკონსულტაციო დღეები და საათები სილაბუსებში ყოფილიყო მითითებული. გარდა აღნიშნულისა, დამატებითი გამოცდის პირობებიც მითითებული უნდა ყოფილიყო პროგრამაში ან სილაბუსებში, რაც ინფორმაციის გამჭვირვალობას უზრუნველყოფდა.
- ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ერთი სახელმძღვანელოთი. რაც შეეხება დამატებით ლიტერატურას, მითითებული იყო მხოლოდ მასწავლებლის სტანდარტი. სასურველია, კურსის ავტორმა სტუდენტებს ალტერნატიული სახელმძღვანელოც შეთავაზოს.
- ასაკობრივი ფსიქოლოგიის პროგრამაში ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, მაშინ როდესაც სწავლების ენა, პროგრამის თანახმად, ქართული იყო. თუმცა კურსის წინაპირობა ითხოვდა ინგლისური ენის ცოდნასაც. ექსპერტების აზრით, სასურველი იყო, დამატებით ლიტერატურაში მითითებული ყოფილიყო ქართულენოვანი სახელმძღვანელოებიც.

- ექსპერტების რეკომენდაციით, სასურველი იყო, საგნობრივი მეთოდიკის სასწავლო კურსებში უფრო მკაფიოდ გაწერილიყო და მეტი დრო დათმობოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და შეფასების ტიპებზე, რუბრიკებზე და კრიტერიუმებზე მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის გაწეული რეკომენდაციები მისაღები იყო. წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც დაწესებულებას თან ჰქონდა წარმოდგენილი. წარმომადგენელი. ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულების აზრით კომენტარს საჭიროებდა, სილაბუსებში საკონსულტაციო და გამოცდის გადაბარების საათების მითითებას ეხებოდა - წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში იყო განთავსებული და თითოეული სტუდენტის ელექტრონულ პროფილზე იყო მითითებული, რის გამოც მისი გადატანა სილაბუსებში აღარ მომხდარა. რეკომენდაციისამებრ, გასწორდა ქართული ენის კურსის სახელწოდება, გათვალისწინებულ იქნა საგნობრივი ჯგუფის პედაგოგის მითითებასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც, ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსებში, სწავლის შედეგებში დაემატა „სწავლის უნარის განვითარება“, გამრავალფეროვნდა ლიტერატურა „ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ კურსზე (დაემატა ლორა ბერკის „განვითარების ფსიქოლოგიის“ ქართულენოვანი გამოცემა და გოგიჩაიშვილის „ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია“). დაწესებულებამ, ტექნიკური საკითხების გამო ვერ გაითვალისწინა მხოლოდ დამატებითი გამოცდების პირობებთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ უნივერსიტეტში დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა და სტუდენტები, ბოლო სემესტრში, მეორად სპეციალობად, საკმაოდ აქტიურად ირჩევდნენ მასწავლებლის მომზადების პროგრამას. წარმომადგენლის ცნობით, პროგრამის პირველი სამი კურსდამთავრებული უკვე დასაქმებული იყო, ხოლო მიმდინარე წელს პროგრამაზე სწავლა 30-მა სტუდენტმა გადაწყვიტა.

თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მაქსიმუმ 50 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ - დაწესებულება ეცდებოდა პროგრამის მეტად პოპულარიზაციას, რის შემდეგაც ექნებოდათ ხსენებული კონტინგენტის შევსების მოლოდინი.

დასასრულს, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნდა საკუთარი კერძო სკოლა, რომელიც სქემაში იყო ჩართული, ახორციელებდა სამივე ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს და რომლის პედაგოგებსაც ყველას გავლილი ჰქონდათ გადამზადება. სკოლას 40 პედაგოგი და 230 მოსწავლე ჰყავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი პროგრამას დადებითად აფასებდა, თუმცა გაანჩნდა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ, სასწავლო პროგრამაში განათლების კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის დამატების ან მისი ელემენტების ცალკეულ კურსებში ინტეგრირების შესახებ. მან ასევე აღნიშნა რომ პროგრამა მოიცავდა ინგლისური ენისა და მათემატიკის მოდულებს.

დაწესებულებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ რეკომენდაცია სასწავლო კურსებში კვლევის კომპონენტების ინტეგრირების თაობაზე დაწესებულებისთვის მისაღები იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაწესებულების მიერ ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების მოტივაციით დაინტერესდა. წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამა ინგლისური ენის მასწავლებლების მომზადებას ითვალისწინებდა და იგი საბაკალავრო საფეხურთან იყო ინტეგრირებული. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, პროგრამით საქართველოს მასშტაბითაც დაინტერესდებოდნენ, თუმცა გათვლა საერთაშორისო სტუდენტებზე კეთდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ იგეგმებოდა მათემატიკის მასწავლებლის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავებაც. მისივე თქმით, დაწესებულებას გააჩნდა კავშირები რამდენიმე სკოლასთან თბილისში, რომლებიც მათემატიკის სწავლებას ინგლისურ ენაზე გეგმავდნენ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენ სკოლაში მიმდინარეობდა მათემატიკის სწავლება ინგლისურ ენაზე. დაწესებულების თქმით, ასეთი დაახლოებით 4-5 სკოლა იყო, მათ შორის დემირელის , რუსთაველის სახელობის რუსთავის სკოლა-ლიცეუმი და ნიკოლოზ წერეთლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში განათლებას იღებდნენ აზერბაიჯანის, თურქეთის, კენიის და საბერძნეთის სტუდენტები. მისივე თქმით, თურქეთში მათემატიკის მასწავლებელზე დიდი მოთხოვნა იყო. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე და მათემატიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე 10-10 სტუდენტის მიღებას გეგმავდა.

განხილვის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა პროგრამაზე დასაქმებული პედაგოგების კომპეტენცია და საგანმანათლებლო რესურსები და დაასკვნა, რომ დაწესებულება ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, ნინო ჩიქოვანმა. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და აღნიშნა რომ პროგრამა მოიცავდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენისა და მათემატიკის მოდულებს.

- პროგრამის მიზნებში განსაზღვრული იყო საბაზო და საშუალო საფეხურის (ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ინგლისური ენის) მასწავლებლის მომზადება, თუმცა უცხოური ენის (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) მასწავლებლის სტანდარტში არ იყო გამიჯნული საფეხურები და საგნობრივი გამოცდაც ერთიანად ტარდებოდა, ამიტომ აღნიშნული ჩანაწერი უცხოური ენის მასწავლებელს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების შემთხვევაში დაზუსტდებულიყო სამივე საფეხური. მაგალითად, გაკეთებულიყო შემდეგი ჩანაწერი: „უცხოური ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადება";
- იგივე ჩანაწერი დაზუსტებულიყო მასწავლებლის მომზადების პროგრამაში დასაქმების პუნქტსა და საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მე-13 მუხლში;
- ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველი იყო გაერთიანებულიყო პროგრამა და სასწავლო გეგმა-მატრიცა და გასწორებულიყო ტექნიკური ხარვეზები (ამოღებულიყო სასწავლო კურსები - გეოგრაფია და ისტორია).

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა რეკომენდაციები ატარებდა მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს და დაწესებულების მიერ ყველა მითითება გათვალისწინებული იყო. წარმომადგენელმა საბჭოს წევრის, ნათელა სახოკიას კითხვაზე პასუხად, განაცხადა, რომ პროგრამა ინგლისური ენის, მათემატიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მომზადებას ითვალისწინებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დაწესებულებას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საფრანგეთის უნივერსიტეტებთან, რომელთაგანაც იყო შემოთავაზებები მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით, პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებამ, რექტორის ინიციატივით ძვირადღირებული სასწავლო ლიტერატურა შეიძინა, რომლის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა მიმდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში სწავლის შესაძლებლობა პოზიტიურ ფაქტს წარმოადგენდა, პრაქტიკის გავლა რთული წარმოსადგენი იქნებოდა. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ მობილობაში მონაწილეობა მხოლოდ ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს შეეხებოდა და მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის უნივერსიტეტებთან ჯერჯერობით ოფიციალური შეთანხმებები არ გაფორმებულა,

აღნიშნული ახლო მომავალში იგეგმებოდა. საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია რეალურ საფუძვლებზე უნდა მინიჭებოდა და დაწესებულების სამომავლო გეგმები ვერ იქნებოდა ამისათვის მყარი საფუძველი. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება მხოლოდ სტრატეგიულ გეგმას აყალიბებდა და მზაობას გამოხატავდა, რაც თავისთავად პოზიტიური ფაქტი იყო.

წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამის თითოეულ მიმართულებაზე 10 სტუდენტის მიღებას აპირებდა, პროგრამა დამოუკიდებლად (არა საბაკალავრო საფეხურთან ინტეგრირებული სახით) განხორციელდებოდა და სწავლის საფასური 1800 ლარს შეადგენდა. სტუდენტების მოზიდვა, პირველ რიგში, დაწესებულების ფილოლოგიის მიმართულების კონტინგენტიდან მოხდებოდა, რომლებიც, თავის მხრივ, მოტივირებულნი იყვნენ ამისთვის. სტუდენტების მოზიდვა პარტნიორი სკოლებიდანაც იგეგმებოდა. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს, პროგრამის ფარგლებში, მემორანდუმი 50-ე სკოლასთან ჰქონდა გაფორმებული და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის კუთხით თანამშრომლობას სხვა პარტნიორ სკოლებთანაც აპირებდა. მისივე თქმით, სულ უფრო მეტი სტუდენტი გამოხატავდა სკოლებში დასაქმების სურვილს. დასასრულს, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელება ბათუმშიც იგეგმებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობით უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თუთა ნარმანია